კვირა, 20 დეკემბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 28

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „შრომის" სტამბაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული შემდეგ ადრესით:

Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе

ფოთის მუშათა მახე.

მას ტანსა შტატცი ემოსა, ზედ პალტო მაულ-მალისა,
ფერხთ ულაზათო ჩექმები შესაზარელი თვალისა,
ბოხოხის ქუდი მტვრიანი ჰქონდა სარქმელად თავისა
იდგა და მუშებს იჭერდა მარდათ ეგ მოდგმა შავისა.
სხვაც ბევრი მისიანები მისებრ მახინჯნი ტანითა
საჯობრათ მომზადებულნი, მკითხველო დიდი ხანითა,
არა ნაკლებათ მხნეობდენ რაზმულნი იმის განითა
და მოალხენდენ ერთმანეთს კრიმანჭულით და ბანითა.
მაგრამა უფრო ალექსი იჭერდა მოხერხებულათ,
მუშებს ამწყვდევდა „ტუზიკში" ჭკვიანად, ყუმაკეულად,
სხვები კი სრულად ცუდობდენ, რჩებოდენ სახტად, რეულად
და კუდ-ძრეხილათ გარბოდენ რა თავსა გრძნობდენ ძლეულად.

ტლინკაძე.

ეშმაკის ინტერვიუ

პროვიზორ №-თან.

კარგა ხანია მესმოდა: ზოგიერთი თფილისელი პროვიზორი ძლიერ გულმხურვალეთ ეკიდება მოყვასთა თვისთა უბედობას და თუ კი რამ გაეწყობა აღარ ზოგავს მეცადინეობას, ძალას და გამოცდილებას გაჭირვებული კაცი ფეხზე დააყენოსო.

ჩემი ბუნებისამებრ, ძლიერ მძაგს გულკეთილი ადამიანი განურჩევლათ სქესისა და სარწმუნოებისა ჩვენს სიმპატიას ვერასოდეს ვერ დაიმსახურებს ასეთი გულ-ჩვილი ადამიანი და თუ ხელში ჩამივარდა, ვაი მისი ბრალი!

განა რა კაცია ის, ვინაც ჯოჯოხეთს ივიწყებს, ცხოვრების სიცხეს გაურბის და იქ, სამოთხის ლილოში უნდა მწვანეზე იკოტრიალოს??

ვერ ნივართვი!

გულმოსულმა შევაღე აფთიაქის კარები, თუმცა ჩემი მრისხანება გულში ღრმათ მქონდა ჩამარხული.

— პროვიზორი № რომელი ბრძანდება აქა? მოკრძალებით ვიკითხე, რადგან ყველა საპატიო პირები იდგენ და მათში პროვიზორის გამორჩევა ერთობ ძნელი დარჩა.

— მე გახლავარ. ნახევარ თავაზიანათ მიპასუხა დაზგასთან მომდგარმა შავგვრემანმა ჭაბუკმა.

— თქვენთან პატარა საქმე მაქვს ბ-ნო, თუ შეიძლება.

— ინებე. მოდი!

— ჩვენ გავედით პატარა ლამაზ ოთახში და დავსხედით შავი ტყავით გადაკრულ მოგრძო სკამზე.

— რას მეტყვი.

— მე ბ-ნო აფთიაქის შეგირდი გახლავარ, მოვუყევი წყნარათ და დალაგებულათ. ოთხი წლის პრაქტიკა მქონდა, მაგრამ იმ გაფიცვის ხანებში დამითხოვეს და მას მერე ასე უადგილოთ დავეხეტები.

— უჰმე!

— მე მარტო რო ვიყო, ჯანი გავარდეს, რაც უნდა შემხვდეს ყველაფერს გავუძლებ, გაჭირვებაში არც ისე ხამი და გამოუცდელი ვარ, მაგრამ მამა არა მყავს, უფროსი ძმა გადამისახლეს და ახლა მე დავრჩი ხუთი სული ოჯახის პატრონი.

— უჰმუ!!

— სადაც არ ვითხოვე ადგილი, ყველგან ვარს მეუბნებიან: „ჩვენ პროვიზორის თანაშემწეებიც პანტასავით გვიყრიაო“ და ქე ვარ ასე ორ წყალშუა...

— უჰმუუუ!!!

— ახლა თქვენთან მომასწავლეს; თუ ისურვა უთუოდ გიშოვნის ადგილსო და მეც ეს არის გთხოვ, რაც შემიძლია.

— უჰმუუუუ!!!

— ჩემი, და ჩვენი ოჯახის ყოფნა არ ყოფნა ახლა თქვენზეა: თუ ინებებთ და დაღუპავთ, დაღუპეთ.

— მოუტყუებიხარ ყმაწვილო, მოუტყუებიხარ, ვინც ჩემთან მოგასწავლა.

— როგორ? თქვენც ვარს მეუბნებით?

— მე არაფერსაც არ გეუბნები, მე მხოლოდ იმას გეუბნები, რომ ადგილის შოვნა ახლა ისე ადვილი არ არის, როგორც უწინ იყო, მეტადრე „უჩენიკისათვის“.

— მაშ რა ვქნა, ხომ დამეხოცენ შიმშილით ძმები და დები? მიშველეთ რამე!

— აბა რა უნდა გიშველო, თითონ გასინჯე რა უნდა გიშველო. ახლა უიმოთ არაფერი არ კეთდება. ისე წახდა დრო. მე რომ მქონდეს ადგილი ხომ იცი არ დაგიკავებდი, მაგრამ ჩვენ ნორმაზე მეტიცა გვყავს. ის რომ გქონდეს ცოტა...

— ოთხი წელიწადი მიმუშავნია, განა ცოტაა?! სამი წელიწადიც კმარა, მე კი ოთხი დამიმრგვალებია.

— მაგაზე არ ვამბობ!..

სახე გამინათლდა. ვხედავდი, რომ № შესახებ ცრუ ხმები გაევრცელებიათ. მისი ორჭოფი სიტყვები გულს სასიამოვნოთ მოხვდენ

— მაშ რაზე ამბობთ, რომ ვერ გავიგე? სხვა რა მაკლია, მართალია პროვიზორის თანაშემწ მოწმობა არა მაქვს, მაგრამ თითონვე დარწმუნდე ბით, რომ საქმეში ძლიერ დახელოვნებული ვარ.

— არ ვიცი აქ რა არის გაუგებარი. საჭირო ცოტა გროშები. თუ აფთიაქის პატრონს ცოტ გული არ მოვულბეთ, ისე საქმე არ გაკეთდება. ახლა სხვა დროა ბიძი, სხვა დრო.

— მერმე სად ვიშოვო მე ფული, ან ვინ იცის რამდენი დასჭირდება?

— სულ ცოტა. საკმარისი იქნება სულ რა ლაც ოცი თუმანი!

— ღმერთო ჩემო! ოც თუმნათ მთელ ჩემ ოჯახს არავინ იყიდის, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე.

— აქ წყალში ჩავარდნა არაფერს გიშველის. წადი, მონახე და თუ იშოვნო მომიტანე, თუ ვე რა, ნუღარ მოდიხარ.

— ვნახოთ!

ძლიერ მხიარული გამოვედი და მესამე დღე 20 თუმნითურთ ვეახლე ჩემს კეთილის მყოფელ

— აი, ყოჩაღათ მოქცეულხარ, ეხლა შეიძლე ბა მცირე იმედი ვიქონიოთ.

— მიშველე რამე, თორემ მეტის მოთმ

აღარ შემიძლია, ავდგები და ვერის ხიდიდან პირდაპირ მტკვარში გადავეშვები!

— ახლა შიში ნურაფრისა გაქვს. ამით ჩვენ ფონს გავალთ. ეს ფული მე დამრჩეს და შენ კი დროებით ერთ ჩემს მეგობართან წადი თელავში. იქ ცხრა თვე დარჩები და შემდეგ შეიძლება აქ გადმოგიყვანოთ.

— ეს როგორ შეიძლება! მე მეგონა თქვენ სადმე აქვე მიშოვიდით ადგილს, თორემ...

— შე დალოცვილო აქ რომ პრიამათ ადგილში ჩავარდე ოცი კი არა სამოცი თუმანი არ კმარა.

— რა ამბავია ბ-ნო, სამოცი თუმნათ მთელს აფთიაქს ყიდულობენ ეს კაცები და მე ადგილი მინდა უბრალო მოსამსახურის ადგილი.

— თუ არა გჯერა ჩემო ძმაო, მიდი და იკითხე სხვაგან. პროვიზორი ჩემს მეტი არის ამ ქალაქში. ნახავ სხვები როგორ დაგიფასებენ.

— წავალ ისევ ფარმაცევტების კავშირს ვთხოვ. ოც თუმნათ ისინი კი გამიხერხებენ რამეს.

— ვერც ათას თუმნათ, რამეთუ ასეთი სახელის არსება აღარ არსებობს ამ ჟამად. ჩემზე უკეთეს პირობებს დამერწმუნე ვერავინ მოგცემს. წადი თელავში და ცხრა თვის შემდეგ შეიძლება აქ გადმოგიყვანო.

— მოვიფიქრებ ამაღამ და ხვალ უთუოდ გაცნობებ ჩემს გადაწყვეტილებას.

— ძალიან კარგი, მოიფიქრე მშვიდობით.

მე დიდათ ნასიამოვნები გამოვედი, რადგან ახლა საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ ბ-ნ №-ს ცილს სწამებდენ მისი მტრები. მიხაროდა, რომ ჯოჯოხეთს არ დაჰკარგოდა ერთი წევრი და ჩვენ, ეშმაკებს, ერთი მეგობარი. ის ზედმეტი ჯოჯოხეთური ღირსება, რომელიც ფულის უკან დაბრუნების დროს გამოიჩინა ბ-ნმა № მა, ყოველივე მოლოდინზე მეტი დარჩა.

მადლობა ღმერთს, რომ თფილისის ფარმაცევტთა შორის ასე მტკიცე ყოფილა ნიადაგი ჯოჯოხეთისა.

ეშმაკი.

*
* *

(ერთ საღამოს მოსაგონათ)

ვინ, ვინ დავმარხეთ ჩვენ იმ საღამოს?
სამარის ჯურღმულს ვინ მივაბარეთ?
ვინ მივასვენეთ სასაფლაოზე
და შავი მიწა გულს მივაყარეთ?
სთქვი მეგობარო, პასუხი მომე,
აჰა, ავტირდე, ვერ ითმენს გული!
მომხედე მალე, მომეხმატკბილე,
სიტყვა მასმინე კვლავ მეგობრული!
გულდათუთქულნი რო მივდიოდით
ვისი ცხედარი მიგვქონდა თანა?
ვინ იყო მაშინ ბნელ ხევხუვიდან
რო ამოგვძახა საზარი ნანა?
,,მოკვდა, მოკვდა'' ო! ვისთვის ამბობდა,
რათ გაჰკიოდა ის საზარელი?
,,ამინ, ამინო''! რათ დაემოწმა
იმგვარ დაძახილს მინდორ-ტყე-ველი?
სთქვი მეგობარო! შენ იცი ისა!
ხვეწნა ისმინე, გულს მომეფონე
და წრფელის გრძნობით ერთგულ-მეგობარს
ტრთოლვით მომხედე, გულს ჩამეკონე!..

ვ. მალაქიაშვილი.



დ ე პ ე შ ე ბ ი

(გურიის სააგენტო).

ოზურგეთი. „პედაგოგი" ტუკ-ასლიძის მეთაურობით სამოქალაქო სკოლაში საშობაოთ გიიმართება ,,შობის ხე'' (იოლკა) დაესწრება სკოლის ყველა თექვსმეტი მოწაფე. ინსპექტორის მეგობრებმა შემოსწირეს მათრახები, სვისტოკები, ლევიცკის კურსები (წიგნია) და სხვა.

ლანჩხუთი. პოლიციამ შეიპყრო სამი საშიშარი ავაზაკი—ექსპოპრიატორი. ბრალდებათ მოპიკნიკე ქალების მეძლვნეზე თავდასხმა და ხაჭაპურების წართმევა.

იქიდგანვე. ერთი დარბაისელი ქალი ამ დღეებში ლექციას წაიკითხავს —,,ორსულობაც და მის ასაცდენ საშვალებათა'' შესახებ. შინაარსს და ლექტორის ვინაობას შემდეგ გაცნობებთ.

ოზურგეთი. მზადდება სოფელში მიმლოცავი მღვდლისავე სადღესასწაულო ეგზეკუცია—შემდგარი სტრაჟნიკებისაგან.

ნაგომარი. ,,შემნახველ-გამსესხებელი'' ამხანაგობის გაკოტრებული წევრები პრემიას ნიშნავენ ვინც აღმოაჩენს 300 მანეთის გამფლანგველს.

ოზურგეთი. წმ-და სანთლის რევიზორია მღვდელმა, თურმე შემდეგი ღიპეშა გააგზავნა: «ВЪ силу крестянскаго бунту свечи въ церквахъ не продаются».

აგენტი ღიკლიკაძე.



გურული სცენა.

(ქალთა ზეკნიკი ლანჩხუთში)

— ნეტაი რა ამბავი იყო გუშხამ მიხელა ასკურავას სახლში? შუაღამეზე გამევიარე სტანციიდან, იმისანაი ტკარცალი იყო, სიმღერა, ხუნტრუცი, გიტარა, დაირა და მუზიკა სირსვალა ლოზიოსავით იყო ერთქამეთში ასვრილი, ორ ვერსზე გეიგონებდი შენ კი გეცოდინება რა შემთხვევა ქონდა, მისი ახლო მეზობელი ხარ?

— რა იყო და ქალების ამოგდება იყო, იგინის ფეხის გაცხება იყო, იგინის სულის ამოხთენა იყო; ქალები მიდღემჩი თავაგდებულები იყვენ, მარა მერე თლა ეიგდეს თავი, პროპაგანდისტს რომ მოკრეს ყური—ქალი და კაცი თანასწორიაო. კაი დაგემართოს თანასწორობა კაია, კაცი უქალოთ არ ვარგა და ქალი უკაცოთ, მარა ყორიფელს მიხთენა და შეგნება უნდა; ჩვენს ქალებს ყორიფელი უკუღმა ესმიან. ხომ იცი, გუშხამ კაცებმა ,,ბალნიცა'' რომ აკურთხეს, დაპაიჯეს ვეზდის ნაჩანიკი, მარშალი, დოხტური და სადილი გააკეთეს—ამ სადილზე არც ერთი ქალი არ დუპაიჯებიან. გაკუჭდენ ქალები, იხუეს, მარა რაფერ იხუეს, ვინც იყო კაცი სადილზე, საღამოს ყველას წაანკალეს, ბოიკოტი გუუკეთეს; მეც ძალიანი გამიწყრა ჩემი ფოსინე—დამხთა ნაცარში მგლოვიარესავით ჩამჯდარი, წიეკულუმბურებია ცხვირი, დანა პირს არ უღებდა, არ დამიგო, არ დამახურა.

— ერთ დღეს გაწყტით კაცებიო, ასე მითხრა, თქვენ რომ გინდათ მაშინ თუკი გაგახსენდებით, ისეც უნდა გახსოვდეთო, თქვენ იქეიფოთ, თვალი გააჭყიროთ, ჩვენ კი ნაცარში უნდა ვეგდოთო, თუ ქალები ვართ, მაგიორს კი გადაგიხდითო. დაგვექადნენ და კიდეც აასრულეს.

მეიყარეს თავი, შეკრეს პირი და გადაწყვიტეს იგინსაც ექეიფა, მარტვაი ქალებს უკაცოთ. დოხტურის მაგიერ აბუჩერიკაი დაპაიჯეს, ვეზდის ნაჩანიკის მაგიორ პრისთავის ცოლი, ამეიყვანეს სასუქიდგან ამ მარხვაში საკალანდო დედლები, გამუაცხვეს ხაჭაპურები, გაგვამწარეს გაგვაშხამეს, ჯიბე გამოგვიცარიელეს, შეიყარეს თავი ორმოცდა ხუთმა ქალებმა და იმ სახლის პირდაპირ საცხა ჩვენ სადილი გვქონდა, იგინმა ვახშამი გამართეს. ეირჩიეს ტოლუმბაში.—პირველათ თურმე დასწყევლეს კაცები, გამუუცხადეს პროტესტი და შეფიცეს თურმე ერთქამეთს, რომ ყველაფერში მიბაძონ კაცებს. მერე შეიქნა თურმე ქეიფი. იმღერეს, ირეჩეს, მადლობა ღმერთს არ დამთვრალარიან, თვარა სხვაი აფერი მუუკლიან. გათენებამდი იყვენ ერთ ამბავში. მარა არც საზოგადო საქმე დეივიწყეს თურმე და გადასწყვიტეს, ტეატრი გავაკეთოთო.

— ტრიატრს თუ გააკეთებენ, კას იზმენ, მარა რაცხა სიზმარი მგონია, კაი რამე გააკეთონ ჩვენმა ქალებმა...

პიტნა.

შენა ხარ მეგობარი?

(ფუძღვნი ა. ბ—ძეს)

ქირში ვიყავ, რომ შეგხვდი,
„მშია, ძმავ“-თქო გითხარი,
მოიხუშე—გეწყინა,
შენა ხარ მეგობარი?!
„წამოდიო“ ძლივს მითხარ,
ვერ გამიბედე ვარი...
სიტყვით „ძმა“ ხარ, საქმით კი...
შენა ხარ მეგობარი?!
„ვხუმრობ“ მეთქი მოგიგე
„ძალზე ვარ გამძღარი“,
კუჭი კი მიხმებოდა..
შენა ხარ მეგობარი?!
სიხარულით გამშორდი,
არ მოგაკლდა „ქანქარი“
რომ მშიოდა იცოდი,
შენა ხარ მეგობარი?!
რათ ყვიროდი ნეტავი:
„მივსცეთ ტანჯულებს მხარი“?
ტანჯულს, ხომ გვერდზე უხვევ..
შენა ხარ მეგობარი?!

ს. ქურიძე.

პატარა კომედია.

მოქმედება მეორე.

(მოქმედნი პირნი, სცენ და სხვა პირობები იგივეა, რაც პირველ მოქმედებაში, რომელიც არ დაწერილა და არავინ იცის. იცვლება მხოლოდ თავმჯდომარე. ფარდა ახდილ ა, მაგრამ მაინც ეხდება და არა სცენას არამედ სცენაზე მყოფთა მოქმედებას.)

გამოსვლა პირველი.

(იგინივე და თავმჯდომარე.)

თავმჯდომარე. ბ-ნებო! პირველ მოქმედებას ვერ დავესწარი, გავიგე მხოლოდ, რომ ჩვენს გამგეობას საყვედური შეხვედრია; მე მართალი მოგახსენოთ არ მომეწონა ეს. ან კი თქვენ თითონ გასინჯეთ: როგორ არ უნდა მეწყინოს, როცა ჯერ ერთი წლისაც არა ვართ და ამდენი ბოროტ-მოქმედობა აღმოაჩინეთ. გვაცალეთ ბ-ნებო, გვაცალეთ და მერმე გვისაყვედურეთ თუ მეტი ვერ აღმოვაჩინოთ. (ხალხიდან: მერმე გვიან იქნება!)

თავმჯდომარე. გთხოვთ ნუ მიშლიოთ... ჰო-დე, ჯერ ჩვენ არ გვეთქმის საყვედური და ესეც არ იყოს საყვედურს ვინ გაბედავს? განა არ იცით, რომ ყველა გამგეობის წევრი გარეშე საქმით არის დატვირთული და საზოგადოებას მუქიათ ემსახურება?..

ოპოზიცია. ჩვენ სიამოვნებით მოვისმინეთ ბ-ნი თავმჯდომარის სიტყვა გამგეობის მოღვაწეობის შესახებ; მართლაც არავის არ უსაყვედურნია გამგეობისთვის უმოქმედობა, მაგრამ ვერც იმ აზრს მივიღებთ, რომელიც აქ ბ-ნმა თავმჯდომარემ წარმოსთქვა. თავმჯდომარის აზრით ბ-ნებო, ვერავინ გაბედავს უსაყვედუროს უჯამაგირო გამგეობას უსაქმობა-დაუდევრობა. ეს აზრი შეუწყნარებლათ მიგვაჩნია. ჩვენ ვიცით სხვა სამსახურე...

თავმჯდომარე. უკაცრავათ ბ-ნო ორატორო, მე ეგრე არ მითქვამს... (ხმები ხალხიდან: თქვით, თქვით!..) შეიძლება ვთქვი, მაგრამ ასე არ მინდოდა...

სამსონ ფირცხალავა. კი თქვა ბ-ნებო, მარა მაგ აზრით არ უთქვამს.

ოპოზიცია ეკმაყოფილდებით მაგ განმარტებით.

თავმჯდომარე. ეგ მე მომწონს! ახლა შევუდგეთ საქმეს! მდივანი წაიკითხავს ანგარიშს მუხლებათ. მოუსმინეთ.

მდივანი. პირველი მუხლი ბ-ნებო, მე 38 გვერდზე, შეეხება წევრობას და საწევრო ფულებს ანუ გადასახადს;

ოპოზიცია. ბ-ნებო! ყველა ნათლათ ვხედავთ ამ მუხლიდან, რომ ჩვენი საზოგადოება „ქან-შინ-წილ-კან-გან-სან“-ი თითქმის სამარის კარათ მიმდგარა! როგორც ანგარიში გვეუბნება, საზოგადოებას ყოლია ორასი წევრი, აქედან გასულა ორას სამოცი წევრი და დარჩენილა სამასი...

ხმა ხალხიდან. ეს ალბათ ლუარსაბის შედგენილი ანგარიშია .. ეგ შეუძლებელია.

ლუარსაბ ბოცვაძე. ბ-ნებო მე აქ არაფერ შუაში ვარ, მართალია გამგეობის წევრი გახლავარ, მაგრამ ანგარიშის შედგენა უფრო მდივნის ვალია.

ხმა ხალხიდან. უკაცრავათ ბ-ნო, ჩვენ ლუარსაბ თათქარიძეზე მოგახსენებდით...

ლუარსაბ ბოცვაძე. კმაყოფილი ვარ!

თავმჯდომარე. გთხოვთ დამშვიდდეთ! განაგრძეთ.

ოპოზიცია. ამ ანგარიშის ძალით ორმოცი კაცი არა წევრი უნდა გასულიყო საზოგადოებიდან, მაგრამ ეს გაუგებრობა იხსნება იმით, რომ ამავე საანგარიშო წლის განმავლობაში შემოსულა სამასი წევრი. რა არის მიზეზი რომ წევრები ასე ფეხ-მარდათ გარბიან და კოჭლობით შემოდიან? ჩვენი აზრით ამის მიზეზი არის საწევრო გადასახადი. სამი მანეთი დიდი ხარკია უბრალო ხალხისთვის, საჭიროა საწევრო ფული ერთ მანეთამდე ჩამოვიყვანოთ.

გამგეობა. ბ-ნებო, ჩვენც ვხედავთ ამ უნუგეშო მდგომარეობას, ვხედავთ რომ ეს სახალხო დაწესებულება სრულიად მოწყვეტილია ხალხს, ვიცით რომ ამაში წილი უძევს საწევრო ფულის სიდიდესაც მაგრამ ..

ქაიხოსრო თავქარაძე. ბ-ნებო, ვერ წარმომიდგენია ისეთი ქართველი კაცი, რომელსაც წერა კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ სამი მანეთის გადახდა გაუჭირდეს. ვაცხადებ რომ ეს ვერ წარმომიდგენია, ვერა და ვერა..

ხმა ხალხიდან. სამწუხაროა თქვენი წარმომადგენელობითი სისტემის უნუგეშო მდგომარეობა!..

ქაიხოსრო ქავთარაძე. გთხოვთ ნუ მიშლით! (სიცილი) ჩემი აზრით საზოგადოების უნუგეშო მდგომარეობის მიზეზის გარემოება მდგომარეობს იმ უწესოებაში, რომელი წესრიგითაც ჩვენში საწევრო სამი მანეთი გროვდება. მე იმ აზრს ვადგიკარ, რომ ამ წეს-რიგის მოუწყობლობის მოსაწესრიგებლათ საჭიროა გაუმჯობესდეს ფულების მობოჯვის საქმის გარემოების მდგომარეობა და დაწესდეს ცალკე „ბოჩიკები.“

გიორგი ლასხიშვილი. ჩვენ ბ-ნებო 1901 წელშიაც იმ აზროსანი ვიყავით, რომ საჭიროა საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლთა შეცვლა და...

ხმა ხალხიდან. ტყუილია, მაშინ სხვა ოპოზიცია იყო.

გ. ლასხიშვილი. ახლაც გვწამს, რომ საწევრო ფულის შემცირება საზოგადოების ირგვლივ მოიზიდავს დაბალ ხალხს მაგრამ...

კოპალეიშვილი. ბ-ნებო, მეც მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა საწევრო ფულის შემცირების შესახებ, რომელზედაც ახლა აქ აღძრულია კამათი და გვაქვს ჩვენ მსჯელობა და ბაასი მე ვეცდები ამ შემთხვევაში სიტყვა არ გავაგრძელო და მხოლოდ მოკლეთ შევეხო საგანს ე. ი. სულ მცირედ გავანათო ის საკითხი, რომლის შესახებაც უკვე გამოსთქვეს აქ ჩვენმა ამხანაგებმა განსაზღვრული აზრი და რომლისთვისაც ახლის დამატება არაფრის შემიძლია. მე მხოლოდ ვიქონიებ სახეში ერთ მოსაზრებას და შეძლებისადაგვარათ მოკლეთ შევეხები მას, რომ ამნაირათ უკვე გამოთქმული აზრები აღარ გავიმეორო და თანაც ამ ნათელისა და ყველასათვის აშკარა კითხვაზე სიტყვა არ გავაგრძელო.

თავმჯდომარე ძალიან დაგვავალებთ, თუ მართლა არ გააგრძელებთ. (სიცილი)

კოპალეიშვილი. ვეცდები ბატონებო, რაც შეიძლება მოკლეთ შევეხო ამ საგანს და სიტყვა არ გავაჭინაურო, რადგან ამის შესახებ უკვე გამოითქვა აზრი და ჩემის აზრით საჭირო აღარ არის აქ კრებას თავი მოვაწყინოთ.

თავმჯდომარე. თქვენ მომხრე ხართ შემცირების თუ არა?

კოპალეიშვილი. დიახ მე მომხრე ვარ სამი მანეთის შემცირებაზე.

სამ. მაჭავარიანი. თუ რა მნიშვნელობა აქვს საწევრო ფულის შემცირებას ეს მე კარგათ ვიცი, მაგრამ ეს შემცირება სასარგებლო იქნება მაშინ, როცა ჩვენ შეგვეძლება სადელეგატო კრების მოწვევა. შეიძლება ახლაც ბევრი ხალხი მოიზიდოს მაგრამ...

კარაჭაშვილი. მეც ის მაშინებს ბ-ნებო, რომ თუ ამ საწევრო ფულის შემცირებით საზოგადოებას ხალხი მოაწყდა სადღა დავატიოთ? ამიტომ ერთის მხრით კარგია საწევრო ფულის შემცირება მაგრამ...

პეტრე სურგულაძე. სხვა დროსა და სხვა პირობებში ჩვენთვისაც ცხადი და სასურველია წესდების შეცვლა და საწევრო გადასახადების შემცირებით დაბალი ხალხის მოზიდვა, მაგრამ...

მახ. გედევანიშვილი. ბ-ნებო, ვინ არ იცის, რომ გამგეობაც და ყველაც მოსურნეა საწევრო ფულის შემცირების, მაგრამ გავიხსენოთ „საბავშვო ბაღის“ ისტორია და სხვა მრავალი. დღესისეთი დროა ბ-ნებო რომ უნდა უთუოთ ჩუმათ ვიყოთ, სულთქმაც მივისუსტოთ*) თორემ...

თავმჯდომარე. გთხოვთ წარმოადგინოთ რეზოლიუციები, საწევრო ფულის შემცირების შესახებ.

ქაიხოსრო ქავთარაძე. ინებეთ (კითხულობს) „ვინაიდან ფული კარგათ არ გროვდება, საჭიროა, „ბოჩიკები.“ (საერთო სიცილი.)

ხმა ხალხიდან. გააგებინეთ ბ-ნს ქავთარაძეს, რომ მისი განცხადება სრულიად არ ეხება საწევრო ფულის შემცირებას.

(გ. ლასხიშვილი თითს უქნევს და ქავთარაძეც მხოლოდ მაშინ რწმუნდება ამაში. ვინაც წერა იცის ყველა ადგენს თითო რეზოლიუციას.)

გამოსვლა მეორე

გამგეობა. ბ-ნებო, გამგეობა „ქანშინწილკანგან სანისა“ საჭიროთ სცნობს კენჭი უყაროს თავისს რეზოლიუციას: „სასურველია თუ არა საზოგადოების წესდების შეცვლა.“ (ფ. გოგიჩაიშვილი ქვეშ-ქვეშ იცინის)

ხმა ხალხისა. ეგ ძალადობაა, აქ ლაპარაკი იყო წესდების ერთი მუხლის შესახებ..,

გამგეობა. ჩვენ ასე გვსურს .

ხმა ხალხისა. ეს ძალადობაა, შიშველი ძალადობა!

ოპოზიცია. ჩვენ მოვითხოვთ კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთი მუხლის, საწევრო გადასახადის შეცვლას!

გამგეობა. ჩიენ ეს არა გვსურს.

მოხუცი კნიაზნა. დიახ, ჩვენ ეს არა გვსურს..

დამსახურებული ჩინოვნიკი. ჩვენც ისე გვსურს როგორც გამგეობას.

ქაიხოსრო ქავთარაძე. (ჯერ შეხედავს ლასხიშვილს) ჩემი აზრიც ასეთია.

ოპოზიცია. კი მაგრამ ეს ძალადობაა, ეს საქმის ღალატია.

თავმჯდომარე. ჩვენ ასე გვსურს. მოსუმინეთ მდივანს!

ს. ფირცხალავა. ვიწყებ კენჭის ყრას. ვისა ჰსურს წესდების შეცვლა და ვის არა.(კითხულობს) ფ. გოგიჩაშვილი?—არა. ბ. სურგულაძე? — არა. კარიჭაშვილი?—არა. კნიაზნა თეკლე? არა მსურს. ბ-ნო ოპოზიცია? —პროტესტს ვაცხადებ ძალადობის წი-

---

*) აქ უცებ გამახსენდა ორი მეგობრის ამბავი: ისინი თურმე გზად მოდიოდენ და ერთმანეთს მეგობრობას ეფიცებოდ-ნ. უცებ დათვი დაინახეს, ერთი ფეხ მარდი იყო, მიბ-ტოვა ამხანაგი და გაიქცა. მეორე ალბათ მოიკოჭლებდა, დაწვა იქა და სულ ი განაბა. დათვმა დაიყურადა, იფიქრა მკვდარიაო და მოშორდა. ამის დამნახველი გაქცეული ამხანაგი მობრუნდა და ჰკითხა კოჭლსურას გიფურჩულებდა ყურში ის დათვიო! კოჭლმა უპასუხა: „დათვმა მითხრა კარგს იზამს წ. კ. საზოგადოებაც შენ მიგბაძავდეს და სულს განაბავდესო.“

ეშმაკი:

ნაღმდეგ. ვანო კვალაძე?—მონაწილეობას არ ვიღებ, პროტესტს ვაცხადებ გამგეობის ძალადობაზე. კნიაგნა დარეჯან? არა მაურს. (ხალხში, უკმაყოფილება მატულობს, ხოლო გამგეობის წევრთა შორის სიცილი.)

მდივანი. კენჭის ყრა გათავდა. წესდების შეცვლა კრებას არა სურს.

(დიდის მხიარულებით კრება იშლება და ხალხიც წადი-წამოდის, მესამე მოქმეობა კვირისთვის გადაიდო.)

ეშმაკი.



გასართობები

სასწავლებელში. (*რუსულიდან.*)

გეოგრაფიის მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

— ჩოყლაყაძე, აბა მომინახე ქარტაზე ქ. მოსკოვი?

მოსწავლემ დიდხანს ამაოდ ეძება, ბოლოს სახე გაუბრწყინდა და წამოიძახა.

— კინაღამ დამავიწყდა, ბ-ნო მასწავლებელო, მოსკოვი აკი ნაპოლეონის დროს დასწვეს!

—

ქართლის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებელი მეტის-მეტათ განვითარებული კაცი იყო და ბავშვებსაც ხელს აღარ აკლებდა.

ერთ დღეს კარგ ხასიათზე იყო და იკითხა:

— ვინ იცის რა არის უფასო სამკითხველო?

— სამკითხველო ბატონო, სასაფლაოს ქვაზე რომ სწერია იგია, მიუგო ერთმა.

— დაჯექ ვირო. შენ თქვი ტურაძევ!

— სამკითხველო ბატონო რომ დაახველებ იგია. მიუგო მეორემ.

— დაეგდე ჩერჩეტო!

— სამკითხველო ბ-ნო ისეთი სახლია, სადაც მკითხავები სხედან და ხალხს უფასოდ უკითხავენ.

— ყოჩაღ. დაჯექი.

პროვოკაცია. (*სტერეოგ.*)

დუმაში შპიკი შეძვრა.

— პატივცემულნო წარმომადგენელნო! ხომ ხედავთ როგორ გიშლიან ხელს ეგ ჟურნალისტები? გადაღობეთ მოაჯირით, რომ ვეღარაფერი დაგაკლონ.

დაუჯერეს და გააკეთეს მოაჯირი.

— საყვარელო დეპუტატებო, განაგრძო შპიკმა, მოაჯირი რა თქმა უნდა ჩინებული რამეა, მაგრამ ჟურნალისტები თქვენ გზაშიაც დაგიჭერენ. მოდი დამიჯერეთ და ნულარ გამოდიხართ დუმიდან გარეთ.

დაუჯერეს და დაიწყეს დუმაში ცხოვრება.

— ძვირფასო დეპუტატებო! ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ ლაპარაკი ხომ შეგიძლიათ და ჟურნალისტებს მეტი რაღა უნდათ? მოდი დაიგმანეთ პირები.

შეშინდენ დეპუტატები და პირი მჩრებით გამოიტენეს.

— სულზე უტკბესო დეპუტატებო, მეშინია ვინმე თქვენგანი შინ არ გაიპაროს. მოდი ტიმარაში ან გუდაში გამოგხვევ და სადმე თფილ კუთხეში დაგაწყობთ.

დეპუტატები შეცდენ, დაეთანხმენ.

და როდესაც გუდაში გამოხვეული დეპუტატები შპიკმა ერთ თფილ კუთხეში მიაწყო, გულიანათ გადაიხარხარა და დაიძახა:

— აი შეხედეთ, ჩვენში პარლამენტი აღარ არისო.

დეპეშები.

(*საქართველოს საავენტო*)

ყვირილა. დეპოში **დაარსდა** „ახალგაზრდა მსმელთა ჯგუფი“, ვასილიკას წინამძღოლობით. ყველა სასმელებს ბლომათ „მიირთმევენ“, გარდა თქვენი „კუდინისა“. ნუ დაამაღლით.

იქიდანვე. ტრიფო მღვდელმა ხალხი ძლიერ მოიმადლიერა, რადგან გადასახადს ხელზე კი არა სთხოვს, არამედ ხაზინის საშვალებით.

საჯაგახო. სიცრუე გამოდგა თითქო „გრუზებზე“ პასაჟირების ძებნის დროს ბ-ნ შენგელაიას ფეხი გაუსხლტა და დაზიანდაო, პირიქით, ის ჯერ უვნებლათ არის და ერთგული სამსახურისათვის მოელის ხახვის მენდალს პრასის ლენტზე.

იქიდანვე. სიცრუეა აგრეთვე ბანკის შესახებ გავრცელებული ხმები. ის არ დაუსაფლავებიათ. ჯერ-ჯერობით საჯაოხოში ასვენია და გამგეები ყოველ პარასკეობით პანაშვიდს იხდიან.

აბაშა (*გურია*) აბაშის საზოგადოება ეძებს იმ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და „მიიღეს“ საზოგადოების მიერ გადახდილი 120 ქანქარი სამკითხველოს დასაარსებლათ.

ჯოჯოხეთელი

სამტრედია. ოთხი დღეა, რაც ფოსტის ეზოში ბოთლი არ გატეხილა და ამის გამო სიწყნარეც დიდია. ახლო-მახლო მეზობლები მოსვენებით გრძნობენ თავს.

იქიდანვე. სადგურის უფროსმა დაადგინა: კვირეში ხუთმეტჯერ გაათბოს და კლასის დარბაზები.

რიონი. ჩვენ ამის შესახებ უკაცრავათ გახლავართ.

ყვარილ. სამსახურიდან გადააყენეს რკინის გზის ლიანდაგის მოხელე ჩაფიძე. გადაყენების მიზეზათ ასახელებენ იმას, რომ ჩაფიძეს ძლიერ დიდი მუცელი ჰქონდა და რკინის გზაზე ვერ ეტეოდაო.

მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(ბათუმისთვის)

დაუკარ ჩემო ქამანჩავ
მოყევი შენებურათო,
ვიაროთ კიდევ მე და შენ
ძველი გზით, ისევ ძმურათო,—
მტრებისა გულის საკლავად,
მოყვრების სამსახურადო.
ლამპრ.ად მაქვს სტვირი ქებული,
ბნელი გზის სანათურადო
და იარაღად მათრახი,
ზურგების გასახურადო.
მინდა ერთ ბანაკს, შორიდან,
ჯერ ისე წავაყურადო
და მერე შიგან გიახლო
მათრახით უწმაწურადო.
სად უბადრუკნი შეყრილან,
სახტომად, საფხაკურადო
და შიგ არავის უშვებენ,—
აქციეს პორ-არტურადო.
სადაც კატები კატობენ,
კნავიან უკმაკურადო,
მაჩვი და დათვი მოსულან,
ძუნწები და უპურადო,
ტურა ერთია, რა ვუყოთ,
მელა ღირს ოთხ ხუთ ტურადო
შუაში დასკუპებულა
მოხდენით ოსტატურადო.
(კლოკი რომ ჩამოიტანა
ბეჭებზე მოსახურადო,
ოდეს ქაბეთი მოვლო და
ვერა რა იღო ყურადო)
მას ყველა ფეხებს ულოკავს,
კრძალვით, რიგ-რიგათ ყმურადო
შევაღე კარი შეეედი
მოულოდნელათ, სტუმრადო
მოვმართე იგი მათრახი
შესულმა, ამაყურადო,—
ვუცხუნე, ვისაც უწია
შეერგოს ხაჭაპურადო
და შემდეგშიაც ვეცდები
არ დავრჩე უმადურადო.
და აწ შენ, ჩემო ქამანჩავ,
შენ აღარ გინდა ქებაო,
ცოტა რომ კიდევ რამე ვთქვა,
ეს მეტი არ იქნებაო,
ან და, გავჩუმდეთ, სჯობია,
დღეს ყველა არ ითქმებაო,
ლაყბობას შემოგვწამებენ,
სხვა ფერად იიხსნებაო;
თანაც ამ გუდის ბერვითა
ფილტვები გამიხმებაო
და შემიმოკლებს სიცოცხლეს
უკურნებელი სნებაო.

ა. ბლიკვაძე.

(ფოთისათვის)

ცუდი დრო დადგა მკითხველო,
გლახას შევესწარ დღესაო:
მაგვრელი გაგვილომგულდა,
ჩაგრულმა დაიკვნესაო.
სიმართლის ხმალი დაჩლუნგდა,
ბოროტის გაილესაო,
ეშმაკნი ტკბილათ გალობენ,
ანგელოზთ ისმის კვნესაო.
მთვარე ღრუბელმა ჩაყლაპა,

წყვდიადი ჩრდილავს მზესაო,
სიავის ქარმა გაფანტა,
რაც სიკეთისამ სთესაო.
ფერი არ აძევს დღევანდელ
ჩვენს ყოფა სიცოცხლესაო,

სცენა ჯ—ის სამრევლო სკოლაში.

მოძღვარი. მასწავლებლობა მძიმე საქმეა შვილო დიდი ცენზი სჭირია!!!

მსურველი მასწავლებლობისა. მაინც ამდენი რაა საჭირო, მამაო?

მოძღვარი. როგორ რა სჭირია შვილო, ჯერ ერთი კეთილ-სამღდობა, მეორეთ კეთილ-მსახურება ღვთისა და კაცისა, ხოლო სესამეთ და უმთავრესათ 100 ქანქარი სამონასტრო შესაწირავი.

ჩარხი უკუღმა დაუსხლტა
ქვეყნის საბრუნავ ღერძსაო.
დრო მოევლინა ნანატრი
ალექსი მელაძესაო,
რომელსაც ცხრაას სამ წელში
მუშათ პანღური ჰკრესაო.
შეკვეცეს ფრთეთა წვერები
მის საქმე--სიავესაო,
და უძღომელი სტომაქი
ფოთიდან აბარგესაო.
თავ-ბედი დააწყევლინეს,
მუშების მავნე მტერსაო
და გულ-გასული, ამაყი
შვილდივით მოღუნესაო.
დღეს კი კვლავ აღსდგა მკვდრეთითა
შემოჩვეული მელაო,
მუშების დასამარცხებლათ
რაკი დრო დაიხელაო.
ცხრაას სამ წელში დამფრთხალი,
ქურდულათ, ნელა-ნელაო
ეპარა „როსიის“ მუშებს
(ერთეც არ დაახველაო).
და მარდათ კბილი ჩასჭიდა
ვინაც კი დაიხელაო.
სხვა და სხვა გვარი ხერხები
იხმარა, არ ეძნელაო.
წაართვა მუშებს სასაქმო
სიხარბემ გაახელაო,
თუ აწ რაიმე შემთხვევამ
საქმე არ გაუძნელაო.
თანაც ღიღინებს: მომკითხეთ
ვით უნდა მუშებს წველაო,
და მათ უფლება-პირობებს
ფეხითა გადათელაო,
ხელიადან ლუკმის წაგლეჯა
ოდელა დელი დელაო!
ზოგ-ზოგი მუშაც ბანს აძლევს,
რადგან მათ თავში ბნელაო,
ფიქრობენ: მცირე ნასუფრალს
ჩვენც გადმოგვიყრის მელაო.“
ჩვენც მივულოცავთ ამ ქორწილს
სულაც არ გვენაღველაო
ღმერთმა უსმინოს ვედრება,
ალექსი უდღეგრძელაო.
მათთან არრა გვაქვს საერთო
ისმინე ბიჭო გელაო,
ჩვენ ცალკე, შეერთებულათ
დავსძახოთ ორეველაო.
გულს ნუ გაგიტეხს ეგ ხვედრი,
არ შედრკე მით რომ ბნელაო,
სულ ასე ხომ არ იქნება
მზეს დავინახავთ ყველაო,
და გამოჩნდება ნათელზე,
ვინც ყოფა გაგვიძნელაო

ტლინკაძე.

ეშმაკის შეკითხვები.

ქალაქ თფილისის გამგეობას.

ბატონებო! მოეხსენება თუ არა, თქვენს წა-გრულთა მოწყალე და მაშვრალთა დამხმარე სახიერებას, რომ თფილისის ტრამვაის დი-რექტორმა, შემდგომად თქვენ მიერ ბოძებუ-ლი ქების ფურცელისა დიდი აღარ დააყოვ-ნა და ღარიბი ხალხის საკეთილდღეოთ ას-წია ბილეთის ფასი*) სახელდობრ: ნაცვ-ლად 5 კაპეიკისა შემოიღო 8 კაპეიკი. და თუ მოხსენდება რა ღონისძიების მიღებას განეზრახება.



მთელი წლობით მუხლ მოდრეკილი შესთხოვ და ქ. თელავი, უზენაესს, რომ მიხედა მისი გა-ჭირვებისათვის და თუ მთელი არა, ნახევარ—გიმ ნაზია (პროგიმნაზია) მაინც ებოძებია მისთვის, და აი.

როგორც «დროების» კორესპონდენტ-მახარო-ბელი გვაუწყებს, მომავალი წლიდან უკვე დაიწ-ყებს ნაყოფიერ მოქმედებას კერძო პროგიმნაზია, აღჭურვილი მთავრობის პროგიმნაზიათა უფლებე-ბითო.

სწორედ სასიამოვნო მოვლენაა და ეს სიამოვ-ნება მით უფრო გვიცხოველდება, როცა ვტყობი-ლობთ, რომ თუმცა ერთი მხრით შეიკვეცა თე-ლავის მოქალაქეთა სურვილები და გიმნაზიის ნაცვ-ლად „პროგიმნაზია" უარსდებათ, მაგრამ სანაცვ-ლოდ სწავლის ფული იგივე რჩება რაც სრულს გიმნაზიებსა აქვთ ხოლმე, სახელდობრ 80 კანქარი თელავისა და მისი ახლო მახლო სოფლების ღარი-ბი ხალხი რა თქმა უნდა ჯეროვანათ ისარგებლებს პროგემნაზიის ნაყოფით.

როგორც ხედავთ კახეთის ცენტრი, თელავი, გამოფხიზდა, ანუ უკეთ ვსთქვათ აპირებს გამო-ფხიზლებას.

*
* *

და თფილისის «სიფხიზლის საზოგადოება» ჯერ კიდევ ღრმა ძილშია. 6—7 წელიწადია ეს საზოგადოება აღარსად სჩანდა, თუმცა ძველათაც არ ყოფილა მაინცა და მაინც გამოჩინებული. ამ წინაზე კი, სრულიად მოულოდნელათ გაზეთებმა გვაუწყეს მისი არსებობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, სა-ზოგადოების თავმჯდომარის არსებობა. ის იწვევდა საზოგადო კრებას. მართალია ის არ გამორკვე-ულა თუ კრებას რამდენი ფხიზელი წევრი დაესწ-რო, მაგრამ საზოგადოების გამოცოცხლებაზე რომ ჩამოვარდა ლაპარაკი, ეს უკვე იციან მკითხველებმა.

*
* *

სამაგიეროთ ის ჯერ ავავინ იცის, თუ რა პა-სუხს მისცემს. თფილისის ქალაქის გამგეობა ბ.ნ ეშმაკს, რომელსაც ხელ-მეორეთ შეაქვს შეკითხვა აღნიშნულ დაწესებულებაში ტრამვაის დირექტო-რის ზოგიერთ განკარგულებათა შესახებ. ერთ ასეთ განკარგულებათ ითვლება ბილეთის ფასის მომატე-ბა. სახელდობრ ეშმაკმა აღმოაჩინა, რომ მუშტაი-დიდან წყნეთის ქუჩამდე ბილეთის ფასი ნაცვლად 5 კაპეიკისა დაწესდა 8 კაპეიკი.

ამ „პატარა" განსხვავებას ქაიხოსრო ქავთა-რაძეც კი წარმოიდგენს, იმდენათ აშკარაა და გვიკ-ვირს თფილისის მამებს რა დაემართათ. მართალია „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია" და ისი-ნიც ნელა ირჯებიან, მაგრამ ისიც ხომ მართალია: „ვიდრე პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვ-რესო."

*
* *

თუმცა ვერც მეტის მეტ გულ-გრილობას შევს-წამებთ ქალაქის ჭირისუფლებს. ალბათ ამ ჟამათ ბევრი თავსატეხი საქმე უდგათ წინ და „რაღაცა სამი კაპეიკის" მომატებაზე ხომ არ შეაჩერებენ მოწყალე თვალებს? ეს მით უმეტეს, რომ მომავალ ახალ წელიწადს ქალაქის თვით-მართველობას 35 წლის იუბილეი უსრულდება. ცხადია ამ ბრწყინ-ვალე დღის მოლოდინში ტრამვაის მგზავრები არ მოაგონდებათ. «თფილისის ფურცლის» სიტყვით ახლანდელ ხმოსანთა შორის შენახულა ერთი კაცი პირველი არჩევნებიდან მოყოლებული ვიდრე დღე-ვანდლამდე.

ღმერთმა სხვებიც შეინახოს!

მარეხი.



---

*) დირექტორს ალბათ მხედველობაში ჰქონდა: რაკი ფ სს მოვუმატებ ღარიბი ხალხი ფეხით წასვლას არჩევს და შაურიც გადაურჩებაო. ეშმაკი.

უცხო სიტყვათა ახსნა.

(ხაშურისათვის).

„ახალი თაობა“—ზოგიერთ ვაჟბატონების სალაყბო და ჯერ კიდევ მოუნელებელი საგანი.

ანაპეტიანცი ტიგრანა—ცრუ მომჩივარი, რისთვისაც თავის ცრუ მოწმეებით სასამართლოდან გარეთ გამოაიმასქნეს...

გადასახადი—სახადი, ჭირი, რომელიც დრო გამოშვებით მუსრს ავლებს სხვილ-ფეხ-წვრილ-ფეხობას და ადამიანზედაც ცუდათ მოქმედობს.

გაზეთები—ბოროტი ადამიანის „ზაკუსკა,“ რომელსაც დრო გამოშვებით მიირთმევს ხოლმე ვიღაც ვაჟბატონი სადგურის შკაფში.

მაღაქია თ—ძე—„ექიმი“, რომელიც ავათმყოფს უფრო „ფულებისაგან“ არჩენს.

რკ. გზის კლუბი—საარშიყო დაწესებულება.

სამედიატორო სასამართლო—კორესპოდენტების ვინაობის გასაგები საშვალება, რომელიც ამ ბოლო ხანებში გამოუსადეგარი შეიქნა..

ჭორიკანობა—ერთობ გავრცელებული სენი.

მიცვალებული—უსულო გვამი, რომელსაც ცოცხლებზე მეტ ყურადღებას აქცევენ.

ფოსტა ტელ. კანტორა—გამოძიებლის კამერა.

პროგიმნაზია—დაწესებულება, სადაც ღარიბი მოწაფეები იშვიათათ შესდგამენ ფეხს.

მიხაილოვის დეპო—დაწესებულება, სადაც ჯამაგირების მომატების მაგიერ მუშებს აკლებენ.

ჯამაგირის აღება—,,დარდების გასაქარვებელი საშვალება.‘‘

„საზოგადო მოღვაწეობა“—შანტაჟისტების თავდასხმა, ფულისა და ვექსილის გატაცება,

ახლად გაეშმაკებული.

(ქვემო გურიისათვის)

მეზობლობა. საოცნებო სტუმრები ზოგიერთა ჯურუყველთელ აზნაურებისა.

ერთგული სამსახური. ე. გიგინეიშვილის უჯამაგირო სტრაჟნიკობა.

„ყალბი თამასუქი“. ჯუმათელ ქყონიების მიერ გაცემული პირობა მიწების გაყიდვის შესახებ.

აგტონომია. ჩიბათელ აზნაურების გლეხებისგან გამოყოფა.

უპატრონო საქონელი. უმასწავლებლოთ დარჩენილი სუფსელი მოწაფეები.

ჯიბგირობა. ნებადართული ხელობა, განსაკუთრებით სუფსელ სიმინდის მოვაჭრეებისათვის.

ზრდილობა. უცხო ხილი მთავრობის მამასახლისებისათვის.

სარწმუნოების თავისუფლება. ეკლესიაში სტრაჟნიკების მიერ ძალით ხალხის შედენა, და გინდა თუ არ გინდა, დაჩოქილი ღვთის ვედრება.

სალუქობა. სათავად-აზნაურო და სავლეხო ბანკის ტყის მცველების პრაგონი (ვერსზე 5 ქან.).

მოხსენება. სადარბაზო ბაასი ტ. გურიელისა ბოქაულებთან ,,კრამოლის‘‘ აღმოფხვრის შესახებ.

კასიო.



მოხსენება სამტრედიიდან

გაიგეს თუ არა, რომ მე სარევიზიოთ დავდივარ, დღე ერთია და აუარებელი წერილები მომდის სხვა და სხვა დაწესებულებათა უმაღლეს პირთაგან: „გვიშველე, სანამ დროა ჩვენთან რევიზიას შეუდექით.“

ასეთ საჩქარო საქმეთ მივიჩნიე „აბაშის შემნახველ გამსესხებელ ბანკის საქმე. არ დავიყოვნე და მდინარე ფაზისის მარცხნით მდებარე სოფ. ირპირით სამკვახოს მხარისაკენ გავეჩქარე. ფიქრებით გატაცებული, მივდიოდი უცნობ სოფელში და შეიძლება ვერც კი შემემჩნია ორპირის საყდარი, თუ თავმოყრილ ხალხის ჟრიამული არ გამეგონა. საცოდავ სანახაობას წარმოადგენს ეგ სადგური. სრულიათ დაუხურავი, ხატები მინგრეულ-მონგრეული, შემოსილი მღვდელი ცაცხვის ქვეშ ლოცულობდა. მეც პიჯვარი გადავიწერე და ცაცხვის ძირზე ჩამოვისვენე. გაათავა ვედრება მოძღვარმა და ჩვეულებრივათ ჭკუის სწავლებას შეუდგა: „შვილებო“! დაიწყო მან; „ხომ ხედავთ, რომ საყდარი თავზე გვალპება, ამას გაკეთება უნდა, ხვთის საგმობ საქმეს ნუ ჩადიხართ. კვირა უქმეებს გარდაც უნდა იაროთ ეკკლესიაზე. ხომ ხედავთ თქვენის უგნურობით და „ყაზილართა“ აყოლით უფალი გაგვირისხდა და შიმშილობა მოგვევლინა. ყოველგან ისწავლეს ჭკუა და თქვენ რაღა დაგემართათ? მოიტანეთ შვილებო საკურთხი, როგორც შემწეობა აგრეთვე მოხარშულიც“, დაასრულა მოძღვარმა.

გავუდექ გზას და მივაღწიე სადგურ სამკვახოს. საიდანაც არ იყო, გადამეღობა წინ ანთიმოზ მსრიკაძე და ბრძანების კილოთი მკითხა: ,,თქვენ ვინა ხართ? საიდან მოდიხართ? ვის ეძებთ? რა საქმე გაქვთ?? არ ვიცოდი რა უნდოდა, ან რომელ მის კითხვაზე გამეცა პასუხი.

— მე, ცოტა საქმე მაქვს და იმისთვის ჩამოველ, მაგრამ თქვენ რა გნებავთ ჩემგან?

— პასპორტი გაქვს?

— გახლავს, ვუპასუხე და მათრახი ამოვაცოცე.

— აი ინებეთ! და გადავცხე მის ცარიელ გოგრას. ეროი ,,ვაის'' დაძახებაღა მოასწრო და სამიკიტნოში შეირბინა ,,სტრაჟნიკების'' მოსაძებნათ. მისდა სამწუხაროთ—ისინი ახალ ფულ მიღებულნი იყვენ, და ქეიფობდენ ანთიმოზის თხოვნისთვის მათ არა სცხელოდათ. როგორც გავიგე ეგ ვაჟბატონი ღამის ყარაული ყოფილა, თავი კი გენერალ-გუბერნატორაო მოაქვს და თუ ვინმე ხელში ჩაიგდო გადასასახლების დამუქრებით კარგა ლამაზათ იმას უშობა ჯიბეებს სრული დარწმუნებული, რომ მისი ასეთი საქციელი დაუსჯელათ დარჩება.

გავშორდი ამ სახიფათო ადგილს და ,,ბანკის'' თავმჯდომარის სტეფანე თარგამაძის ნახვა მოვინდომე. სწორეთ ბედათ, ძლიერ საჭირო ლაპარაკს წავაწყდი.

-- სად იყავი ივანე? ეკითხება ერთი მეორეს.

— სადა და იმ დასაქცევ ბანკში ვიყავ.

— ფულები გამეიტანე ამ საპრაზნიკოთ?

— რაფერ უნდა გამომეტანა ძმაო; ცხონებულ მამაჩემს სტეფანესთვის რომ მოვენათვლინებიე საქმე კარქა იქნებოდა. ი დაწყევლილი არც ზუთხის ჭერის ამიდი იყო წელს და აბა ისე ვინ ეშმაკი მომაშავებდა ფულს? ხუთი თუმანი მინდოდა, სამი თვეა ვეღრიჯბეი, მაგრამ ვერაფერს გავხთი.

— რავა, რაუყავით ე ფულებიო არ კითხე?

— რო ვკითხე რაი მერე! გადმომიგდო რაღაც ანგარიშის ქაღალდიაო და თითონ ბათუმში წაბრძანდა.

— მერე დათიკოსთან ვერ მიდი, იგია ბანკის დამცველი და რამე განაჩენს გამოიტანდი.

— ისე იგი დეიცო ღმერთმა!! დამცველი კი არა დამქცევია. აი ფულები კი შეიტყემლისკვერენ და ზოგი ქუთაისში წავიდა, ზოგი ბათუმს.

— ყველაფერს დაგიჯერებ და დათიკოზე მაგას ვერ დავიჯერებ.

— არ იცი და იგია. მაგი არ ეკერჩიე სამედიატორო სამართლის თავმჯდომიარეთ? იმისანა ქალაბანი შეჭამა, რომ თლა მეიჭრა ქვეყანაში თავი. სხვებიც ბევრი აქ სიგლახე ნაქნარი, მარა ჯერჯერობით ქე შერჩა;

— ჯავრი ნუ გაქ, თუ იგიც მაგისანაა არ შერჩება. ხომ გაგიგონია ,,კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს''-ო.

— მაშ დღეს ბანკში არავინაა?

ჩავერიე ლაპარაკში მე.

— დღეს კი არა მგონი არც აწი იქნება ბატონო.

რაღას ვიზამდი იმედ გაცრუებული გამოვბრუნდი უკანვე.

პროვანციელი ეშმაკი.

ჭიათურის ცის ტატნოგზე.

II

წარსულ კვირას მოგახსენეთ: ჭიათურის ნულზე უარესი სანახაობა ვნახე კამარაშითქო. დიახ, ვნახე და კიდეკ გიამბობთ. ვხედავ აუარებელ ურმებს და ცხენებს, რომლებიც სასწორებს მისდგომიან პატრონების ძალდატანებით და ელიან იმ ბედნიერებას, როცა მათ ზურგზე აკიდული საპალნე აიწონება. აი დაიწყო კიდეც ერთმა „ვესოვჩიკმა" ქვის წონა! აქვე დგას გაშავებულ-გამურული მეურმე, რომელიც გულის ფანკქალით ელის გაიგოს, თუ რამდენი ფუთი ქვა ჩამოიტანა. ყველაფერი თითქოს რიგზეაო: ქვა აიწონება და სხვა ასეთი. მწონელი გაღლეტილაძე იძახის: 30 ფუთიაო; მუშა დაღვრემილი იცქირება და რა ქნას არ იცის: თვითონ წონა არ იცის და რომც იცოდეს ვინ ააწონინებს. „წაიყვანე კაცო ურემი, გამაცილე!" გაიძახის ამაყათ ისევ გაღლეტილაძე და მეორე ურემს ათვალთვალებს. მარა ამ დროს თითქოს მიწიდან ამოძვრაო, საიდანაც იყო გაჩნდა კანტროლიორი. „ვაიმე, ბიქტორ მელიქოვიო" ერთი კი მოასწრო გაღლეტილაძემ და პირს ღიმილი დააკვდა. მოაბრუნეს აწონილი ურემი და 30 ფუთი ქვის მაგიერ 45 გამოჩნდა. გაბაწრეს გაღლეტილაძე, მისწიეს, მოსწიეს, აყენებენ ოქმს, ის კი ლუარსაბ თათქარიძესავით აზრდაბნეული იძახის: „ალბათ მოუკლებდა ქვას, თორემ მე 30 ფ. ავწონეო". ბოლოს რო არაფერი გაუდის, ამბობს: რა ვქნა, ხაზეინმა იმ პირობით ამიყვანა, რომ თუ მუშას წონის დროს ქვა არ მოპარე, არ დაგაყენებო. მარა ეს ხომ ვერ უშველის საქმეს, არ ცხრება ბიქტორი, აშანშალებს პროტოკოლს. „ა ბაჭო ბიქტორ, ნუ დაგვღუპავ ამ ხანაგს და ფული აიღე, რამდენიც გინდა", —ესევიან კანტროლიორს გაღლეტილაძის ამქრები. მარა არაფერი გადის, ჯიუტი მელიქოვი თავისას არ იშლის. მართალი გითხრა სულელი კი ყოფილა ეს მელიქოვია თუ ვიღაცა. მე რომ იქანა ასიგნაციების ტრიალს ვუყურე, მაინც კი დამძლევდა ჩემი ეშმაკური სენი, სადაც უნდა ყოფილიყო! იმ ფულებს ჯიბეში ვარგვიებდი თავს და გაღლეტილაძეებს მერე თავი ეხეთქათ . უცებ ეს სანახაობაც გაქრა და სხვა რამ იხილა მონამან თქვენმან, ამას კი ელოდეთ შემდეგისათვის.

კონტრ-ეშმაკი.

წერილები ეშმაკისადმი

ოზურგეთი. ახირებული ზნე დასჩემდათ ჩვენს მოქალაქეებს: კატამ რომ კუდი გააქანოს, ბოქაულთან გარბიან მიზეზის გამოსარკვევად. ყველაზე უფრო ამ სენით თაყა სალუქვაძე გვყავს ავათ. უკანასკნელმა ამბებმა მაინც ძლიერ გაგვიცელქა ღირსეული მოქალაქე ოზურგეთისა.

ადგილობრივი ციხიდან საშინელი ამბები გვესმის. ცნობილ მეამბოხეთ: ე დოლიძეს და ა. ელიაძეს უსამოსლოთ „მაზურკას“ ათამაშებენ თურმე „კარტოჟნიკები.“ ეს უკანასკნელნი საცოდავ მოხუცებს ეშმაკებათ ევლინებიან და ეუბნებიან: ძლიერ დიდი ცოდვების პატრონი ყოფილხართ და ეშმაკებიც მიტომ შემოგყოლიათ ციხეშიო **საწყლებს** შიშით სულ არ სძინავთ თურმე. გაეცით ბრძანება, რომ-ესენი „ლუე ეშმაკები“ არიან და იქნებ უზედურთ ძილი მიეკაროს.

გუშინ სამოქალაქო სასწავლებლის წინ ნახეს სამი ერთი მეორეს მსგავსი საგნები· დიდის ხნის ბრუნების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს საგნები ყურების ნახევები ყოფილა. ერთმა მოწაფემ კიდევაც იცნო თავისი კუთვნილი. აილო, გაასუფთავა და ტირილ ტირილით წაიღო სახლში მშობლების საჩვენებლად.

აქაურ პროგრესიულ თვითმართველობის მდივანს—ივლიანე მჟავაძეს, აზრათ აქვს ქალაქის მამების კრებაზე შემდეგი განცხადება შეიტანოს ,,მე არ ძალმიძს სამი მოვალეობა:—კასირობა, ხაზინადრობა და მდივნობა შევასრულო. ჩემი მოვალეობა იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ ხაზინადრობა, რომელიც ნებას მაძლევდა და მაძლევს თავისუფლად მეიმასქნა ქალაქის კასა.'' თურმე ივლიანეს ძლიერ აკვირვებს ბებურის შეუბრალებლობა, უმეტეს მას შემდეგ, რაც რომ მისი შემწეობით ბებურის პოზიცია საშინლად ,,გამაგრდა.'' რაც მართალია—მართალია!

ჯილეხი.

—

სად. შორაპანი ძმაო ეშმაკო! შენს მათრახს ძალა მოუვიდა მეტის მეტი ქნევით, მაგრამ ყველასაგან მოძულებულს შენს იქით გზა არა გვაქვს.. საქმე იმაშია, რომ აქაურმა „დეჟურნი აგენტმა“ —ბ. ბარამიძემ დაიჟინა: „მე რაც ვიყავი, ის აღარა ვარო“ და ამიტომ, ყველას (რასაკვირველია „წვრილფეხა“ მოსამსახურეებს) რაც არ ეკადრება იმას ელაპარაკება და როგორც არ შეეფერება (რასაკვირველია პატიოსან კაცს) ისე ეპყრობა.

ბ. ბარამიძე რაც უნდა ის იყოს, ამას ჩვენ არ ვედავებით, მაგრამ როდესაც ის უკადრისი სიტყვებით გვეხება—ამას კი მივაქცევთ თქვენს ყურადღებას და ვთხოვთ, შესთავაზოთ მის პატივცემულ ზურგს, ოცდა-ათი კუდი მათრახისა რომ შემდეგ მაინც ისწავლოს მოპყრობა „წვრილ-ფეხებისადმი“..

მისივე.

—

დიდი ჯიხაიში. ამხ. ეშმაკო! არც ისე შორს არის ის დრო, ჩვენ რომ პოპეჩიტელი გვეწვია. რაც ჩვენში სურო და ყვავილები მოიძებნებოდა, ყველა კედლებს მივაჭედეთ. სადილიც გაუმართეთ სკოლაში. აბა ჩვენ რა სხვებზე ნაკლები ვართ, რომ მას ჩამოვრჩენოდით! სადილზე რეჩებიც ვუთხარით. ერთმა ბეჩავ ხალხის „გულშემატკივარმა“ შავ-წვერამ სხვათა შორის უთხრა: Вашимъ прiѣздомъ Вы доказали народу, что и о нихъ заботятся... Вашъ прiѣздъ крупными буквами будетъ отмѣченъ на скрижаляхъ нашего сердца-ო ორი ქვირის შემდეგ უმაღლესი მადლობაც მივიღეთ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა: აწი მაინც აღარ ჩაგვითვლიან ,,კრამოლნიკებათ''—თქო, ვფიქრობდით. მაგრამ მალე! ძლიერ მალე შეგვეცვალა სიხა-

რული მწუხარებათ. კვირას გამოგვიგზავნეს მთავრობის მამასახლისი. აი ასე ხანმოკლე შეიქნა, ჩვენი ალტაცება! თურმე ისევ ,ოპალაში'' ვყოფილვართ. და ეხლა კი რაც ამ წელიწადში ,,ეკატერინკები" გადაყლიწწეს კანცელარიას ,,თაგვებმა,'' იმის ამოგების იმედიც გაგვიქრა.

ამას გარდა ერთი სათხოვარი საქმეცა მაქვს და აგვისრულე შენი ჭირიმე! მანდ, გოლოვინის პროსპექტზე, შეხვდები მოსეირნე ექიმ ვაშაკიძეს და მასწავლებელ კოხრეიძეს. გააჩერე და უთხარი: თქვენ აქ დასეირნობთ და თქვენ ჰიშკრებზე კი, (ჯიხაიში) ყოველ დღე თითო კაცი იხრჩობა ტალახში. საჭიროა მისი გაკეთებათქვა.

არწივი.

—

თიანეთი. ჯერ მოწიწებით ვემთხვევი
ეშმაკის სახარებასა,
უტყუარს, თანაზიარსა;
ალვიტყვი ალსარებასა...
ეშმაკის მართულ ჩონგურსა
შევუდგამ ზვიკიპინტრესა;
სიბრძნეს მოვისვამ გვერდითა,
მოვასმენ ოჩოპინტრესა!..
ძეფს დავქსავ საიდუმლოსა,
გავკრავ გამოვკრავ მაქოსა;
მე მინდა ჭკვიანს ეწყინოს,
და უგნურმა მაქოსა!..

*
* *

აი ეს მხარე:—ეს მთები
ქერაბიმსავით ბრწყინავენ;
ზაფხულში ნიავს აკმევენ,
ზამთარში არა ჰყინავენ!..
სამოთხესა ჰგავს სოფლები:
სინათლე შესდის ყველასა,
ვერსაღ შეხვდები ნატამალს,
სახადს, სურდოს და ხველასა!
და თუ ამ ზამთარს,—ყვავილი,
ქუნთრუშა შემოესია,—
რა ვუყოთ ,,ბატონებია''
უფლის ნება და წესია!—
დასტური სუფევს ყველგანა,
,,ჰო!'' ბედის კარგი ნემსია!..
ექიმიცა გვყავს, მედიკი,
წინ-სამკითხველოს მწყემსია;
პირდათ სარფა არ მაქვს,
წიგნების საბალახესა;
და ,,ცხვრებმაც'' საიალახე,
იურცხვეს გადალახესა!..
სკოლები რა მოგახსენოთ,
ამ ჟამათ ცარიელია,
„სახადი მჩრუნველებისთვის
დღეს კაი კოცტსამბელია!..
მადლი უფლისა, ხომ ვამბობ,
ჩვენს მხარეს შემოსჩვევია;
თეთრი და შავი აქ ერთობს,
არავის გაურჩევია!..
ცხვარი და მგელი ერთმანეთს,
და-ძმურათ გადახვევია;
რაუყოთ, საცა მთა არის,
იქ მუდამ ღრანტე ხევია!..
მუნ მაზრაპეტიც ხომა „გვაქვნს,"
უფლის ნათლულის ნეკია,
არ არის ჯოგი, ჯიუტი,
ავ ხორცი მეტის-მეტია;
ის ჩვენი მოსამართეა,
ბედის საბრუნი ლილვია
და მისი მწარეც, განამლაც,
შაქარზე უფრო ტკბილია!!!

* *
*

ყველაფერი უფალს მოაქვს!—
არცა გვცივა, არცა გვშია;
„ინტელექტიც" ბლომათ გვიდგა
რუმბებში და ქვევრებშია!..
პრინციპს წყალი გადავასხით,—
ქარი სჭირდა ფეხებშია!
და წიწილებს ვინ დასჩეკდა,
მის ნაფუტკნის კვერცხებშია!?.
ქვას ერთმანერთს როდი ვესვრით
მიზანს ვუდებთ კუთხეშია,
ბედის სტოლზე დავუსხდებით
არ ჩაგვაგდებს მწუთხეშია
როდის გვნახეთ ეხლა ვიყოთ
ავ ყოფაში, ცუდ დღეშია?
ქრისტეს ნდობა-სიყვარული
ჩვენთან არის დღე მუდამა
რას დაგვაკლებს იფუნდრუკოს
ჩვენს გარშემო იუდამა!..

*
* *

ჩვენ ღმერთი გვყავდეს ცოცხალი
ყველა იმისი ნებაა,
წმინდათა-წმინდა პირჯვარი
მორჩილი მოთმინებაა
და ქანაანიც ეს არის
ვცხოვრობთ და ნეტარებაა,
ოდესღაც იქნებ ახალი,
დღეს ყველა ძველი მცნებაა...
ეხლა რალაცას გვასმენენ
ტარატა ვერმიცანები,
ახალი მოდის მკითხავნი
ცბიერი გულთმისანები,
ვითომ ვილაცა ევროპა
ნათლიობასა გვპირდება...
სხვისა არ გვინდა, თავისიც
ბევრი გვაქვს, არა გვჭირდება.
ისედაც დიდი მადლი აქვს
ჩვენი ცხოვრების დვრიტასა
ყურს არ დაუგდებთ, ვერ გვაცდენს,
ჩვენ იმის „ატა-ჯიტასა"! .
ჰო, ვამბობ ყველა ასეა,
როგორც მეუფეს სწადიან
და მისი მადლით ჯერაცა
ჩვენში ორფეხში დადიან!..

ბედის სამჭედურს რათ უნდა
გრდემლი, მარწუხი, კვერია,
დრო თვითონ სჭედავს და მეტი
რა გვინდა, ესეც ჯერია.
ჩვენ მარტო იმედს დავართავთ
და ვაცხობთ ბედის კვერასა.
რათ გვინდა, თუ რა გაათბობს
ჩვენს გაციებულს კერასა.
რაღა ვსთქვა, აბა რაღა ვსთქვა
დავყურებ მადლის გორასა
ქება-დიდება მამონას
მადლობა ტერპსიხორასა!..

ვ...ნ ტარი.

—

ახალ-სენაკი. ახალ-სენაკს მოედო
ახალ მოდის ჭირია,
მორჩენა ვერ შეიძლეს
დახმარება სჭირია.
ექიმობას ჩემულობს
ლოტო, კარტი, ნარდია
და ლექციებს კითსულობს
მწვანე ბილიარდია.
ჟურნალ-გაზეთებისა
აღუკრძალავთ მათ კითხვა:
პაციენტებს უბრძანეს
ნაბად-ქუდის გაყიდვა.
კარტო, ფერი იცვალე,
კამათელო, დაბრუნდი,
ბილიარდო, გენაცვა
არ ამხადო დღეს ქუდი.
ეშმაკო დამეხმარე,
მოხედე ამათ ჭირსა
და მწველ მათრახის კუდსა
მათ ნუ გაუხდი ძვირსა.

გ. ა...ტაშნელი.

—

დიდი ჯიხაიში. ძმაო ეშმაკო! ერთ დროს შენი მათრახით მირონ-ცხებული მოძღვარი მოსე, დღეს კვალად მოითხოვს უეშმაკეულესის კურთხევას. ჩვენი სამრევლო სკოლის ბედი მის ხელთ არის. კეთილი მოძღვარი ქვეყანამ იცის რომ ,,საუკეთესო'' პედაგოგიც ბრძანდება და მისდამი რწმუნებულ სამრევლო სკოლაში მასწავლებლობის მსურველთ ძლიერ გარჩევით ეპყრობა. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ღვთის მმოსავებს თმა გრძელი უნდა ჰქონდეთ, ის ძლიერ უფრთხის გრძელ თმოსან ყმაწვილებს და ეტრფის გრძელ ჯიბოსნებს. პედაგოგის ღირსების გასაზომათ მისი შეხედულებით ,,საკმარისია'' 100 ქანქარი სამონასტრო''.

აქსიოს.

—

ყვირილა. ძმაო ეშმაკო! დავალებული მაქვს შენს წინაშე წარმოვავლინო უქვეშევრდომილესი თხოვნები ყვირილის რაიონისა.

მაშ გვისმინე:

ყვირილის ,,მოქალაქენი'' გთხოვენ, რაც შეიძლება მალე დაუბრუნო მათ კალანდაძის ცირკი, ეს სულიერი საზრდო ზესტაფონელ მოქალაქეთა.

კლუბის შენობა მოითხოვს ორი კვირის დასვენებას აურაცხელ მოკარტ-მონარდეთა თავდასხმისაგან

სათეატრო დარბაზს სურს თფილისში გადასვლა, რადგან იქ სახალხო უნივერსიტეტის სექცია ბინას ეძებს და აქ კი მას არტისტები ყავს საძებრათ.

თითონ დაბა ითხოვს გახადო ღირსი გაქალაქებისა, რადგან კარგა ხანია სრულ წლოვანი შეიქნა.

თუ შეისმენ ამ უქვეშევრდომილეს თხოვნებს, მთელი ყვირილა ჯოჯოხეთის ბატონობის ფრთეთა ქვეშა დაადგება.

საქარელი მ.

—

სოფ. კაცხი. ჩვენი მღვდლის ამბავს ნუ მკითხავ,
ან კი რა საკითხავია?
მკვდარსა და ცოცხალს ერთ გვარათ
შეგვაიმასქნა ტყავია
მიუხედავათ ამისა
(ეს თქვენი მოესავია),
ცდილობს სხვადასხვა თხოვნებით
მრევლს შეაყვაროს თავია.
სად გაგონილა ეშმაკო,
ასეთი სამართალია?
ძალით ცხონება ხუცისა
ვინც დაგვიბნელა თვალია?
არა, უთხარი გენაცვა,
რომ გაქრა ძველი ჟამია,
და თვალთ მაქცობით სოფელი
დღეს ძნელი მოსაჭამია.

ჩიკორტელი.

მათრახის ფოსტა.

დაუჭექდავი მასალა რედაქციიდან არავის არ დაუბრუნდება.

სადმე. სამსონს. შესწორება შეუძლებელია, დაბეჭდვა მით უმეტეს.

ფოთი. ილოს. არ დაიბეჭდება მესამე პუნქტის ძალით.

ხონი. პლებეი ეშმაკს. სულითა და გულით გვინდა თქვენს პოეტურ ნიჭს გზა გავუხსნათ მკითხველისაკენ და არა სარედაქციო გოდორისაკენ, მაგრამ თქვენ დმჟინებით მიილტვით ამ უკანასკნელისადმი. აი თუნდ ისმინეთ:

„მსურს აგიწერო ილარიონ-ის
დღემანდელი მისი ფერი და კანია
და შევადარო წინანდელს
მისი რწმენა და იდეია“.

მარტო აწერის სურვილი რომ კმაროდეს თქვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

საჯვავახო. ჯოჯოხეთელს. გთხოვთ განაგრძოთ.

ფოთი. «დოდ»-ს ცოტა მარილი აკლია.

ძვიშხეთი. მამლაყინწას. თქვენი ყვავილით სოფელი არ აშენდება.

სურამი. ხ. მე-ლს. თქვენს წერილს „წერია: «ეს მე ვიხუზეო». მართალია პირადთ არ გიცნობთ, მაგრამ არავითარი იპვი არ გვებადება.

სიღნაღი. მგალობელს. თქვენი მისალოცი ლექსი არ დაიბეჭდება, ვინაიდან «ქრისტეს აღდგომამდე» ჯერ ეთობ დიდი ხანია.

სუფსა. დარაჯს. ჩვენი ჟურნალი ქართულ წერილებს ბეჭდავს, თქვენი ენა კი ვერავინ გიგებ.

ხიდისთავი. მაჩვს. უფრო თქვენს ნამდვილ მაჩვობას დავიჯერებთ, ვიდრე ამ ამბავს.

საჯაოხო. ჰკუასელს. რა გაჩქარებთ, რომ მიიღებთ მერმე დაიწყეთ მწერლობა.

ფელიეტონი **1910 წლისთვის** მეოთხე.

მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

პრემიათ გაეგზავნება
ახალი პრეგული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. რაგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუტილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გაუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: ა. ბ. **ბლიეგვაძე, კანჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარა, ზომლეოელი, თურდოს ბირელი, ისსამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, შატნა, ტ. რამიშვილი, რუსაძე, რუშაგელი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома" Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ბ. ტურაბელიძე.